572
1984

ISSN 0132-5965

1984 ივლისი № 7

ფერადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლისი

1—საზღვაო და სამდინარო ფლოტის დღე.
8—მებადურის დღე.
15—მეტალურგის დღე.
22—ვაჭრობის მუშაკის დღე.
29—სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე.

ბავშვებო!

დამთავრდა კიდევ ერთი სასწავლო წელი. იწყება საზაფხულო არდადეგები.

თქვენ გელოდებათ პიონერთა ბანაკები, დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლები, ზოგს კი სოფლებში მოუთმენლად მოგელიან ბებიები და ბაბუები.

სახალისო, საინტერესო და შინაარსიანი ზაფხულია წინ—პიონერულ კოცონთან გატარებული დღეები, სოფლური საქმეები, ახალი მეგობრები, ახალი შთაბეჭდილებები... ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნება, სუფთა ჰაერი და კამკამა წყლები გაგაკაჟებთ და გაგაჯანმრთელებთ.

თამაში, გართობა და დასვენება კარგია და საჭირო, მაგრამ არ დაგავიწყდეთ წიგნი. რამდენი საინტერესო ლექსის, მოთხრობის, ზღაპრის წაკითხვას მოასწრებთ. და როდესაც კვლავ დაუბრუნდებით მშობლიურ სკოლას, მოუყევით ისინი თქვენს მეგობრებს, მასწავლებლებს და ახლობლებს, გაუზიარეთ მათ თქვენი შთაბეჭდილებები.

ბედნიერ დასვენებას გისურვებთ, ბავშვებო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაგუ მეგურიშვილი

ზაფხულობით რა სჯობს სოფელს

მხატვარი ნანა ჯურღულია

17.7.18

ზაფხულობით სოფელს მართლაც
რა სჯობს—
ჩაფლულს მწვანეში,
არ გაკლია არც ბებიის,
არც ბაბუის ალერსი.
ოჰ, როგორი მოფერება
იცის მერე მამიდამ:
„ჯირიმე“ და „გენაცვალე“
თაფლად წვეთავს ბაგიდან.
მე შენ გეტყვი, მოგაკლდება
ხილი, თანაც რა ხილი...
გინდა ბაბას წაჰყევ ტყეში,
გინდა მწყემსე ნახირი.
გინდ მეძებრებს ეთამაშე
მწყერ-კურდღელზე დაგეშილს,
გინდ მდინარეს მიაშურე
ბადით, ანდა ანკესით.
თევზაობა მოგწყინდება?
ჩქერი გასჯერ მხარულით,
სახლში გინდა ფესით წადი,
გინდ მეზობლის ხარ-ურმით.
გინდა ბურთი ითამაშე,—
საღამომდი დილიდან.
ვინ გიწურება, შარვალ-ხალათს
შინ მოთხვრილს რომ მიიტან.
დღეს მიყდიყარ,
გამგზავრება
სოფლად რა საამოა;
მაგრამ თქვენ თქვით დადონებაც,
იქიდან რომ წამოვალ.



ელგუჯა მერაბიშვილი

კრწანისის მნძმლა

მტრის ლაშქარი სამხრეთიდან მოადგა საქართველოს. ორმოციათას ირანელ მხედარს მრისხანე შაჰი — აღა მაჰმად ხანი ედგა სათავეში.

ქართველები გატეხილ ხიდთან დახვდნენ დამპყრობლებს და დიდი ზარალიც მიაყენეს, მაგრამ მერე ველარ გაუძლეს მათ სიმრავლეს და ბრძოლით დაიხიეს უკან.

შაჰი ფრთხილობდა: ბრძოლებში სახელგანთქმული ერეკლე მეფის შიში ჰქონდა და ამიტომ ნელა მიიწევდა წინ.

გზადაგზა მტერი ცეცხლის ალში ხვევდა სოფლებს, არბევდა ციხეებს, არ ინდობდა, ხმლით კუწავდა ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს, ტყვედ მიერეკებოდა გოგონებსა და ბიჭებს. მოზრდილები, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, ერეკლე მეფის ლაშქარში იმყოფებოდნენ.

მტერი თბილისს უახლოვდებოდა. მეფემ მოსახლეობის გახიზვნა ბრძანა. ჩარდახიანი ურმები არაგვის ხეობისაკენ მიჭრიალებდნენ... იცლებოდა ქალაქი.

თბილისი წინ წაწეული რაზმებითა და კერკეტა ციხეებით ხვდებოდა მრისხანე შაჰის ლაშქარს. ერთი ასეთი იყო შუქურა ციხე აზეულა.

აზეულას მეციხოვნენი ისრების წვიმას უშენდნენ ურჯულოებს, მეთოფეებიც ჰყავდათ, ზოგჯერ კი ხმალდახმალ ჩამოეგებებოდნენ ხოლმე მოძალებულ მტერს, უკუაქცევდნენ და კვლავ ციხეში შედიოდნენ.

ამაყად იდგა კერკეტა ციხე თბილისისაკენ მიმავალ გზაზე.

განრისხდა შაჰი, სიბრაზემ დაუმანჭა ქოსა სახე.

მხატვარი მომგვარეთ ვინმეო, — ბრძანა.

ქართველ ტყვეთა შორის გვყავსო ერთი ყრმა, საგანთა და სახეთა მწერალი, — იყვირეს თათრებმა და მალე მოჰგვარეს კიდეც.

— აგერ იმ შუქურა ციხეს ჰხედავ? — ჰკითხა შაჰმა პერანგშემოხეულ, თმაგაუკრეჭავ ბიჭს.

ბიჭმა ძლივს მოსწყვიტა გაოცებული მზერა შაჰის სიბრაზისაგან დამანჭულ სახეს და ციხისაკენ გაიხედა.

— ეგ უნდა დამიხატო, თანაც სასწრაფოდ. ახლოს უნდა მიხვიდე და კარგად დაინახო, სად რა ქვა დევს. გასძახებ, რომ შინაური ხარ და ციხეში გინდა შესვლა. არ გესვრიან. ნახატს რომ მოიტან, ქისა ოქროს გაჩუქებ და დედასთან გაგიშვებ.

დედის ხსენებაზე ბიჭს თვალწინ დაუდგა მშობლიური სოფელი, სახლი და მის წინ ქვის ყორესთან მდგარი თეთრხილაბანდიანი ქალი — დედა.

ორი თხელწვერა თათარი ამოუდგა მხარში, მესამემ ტყავი და ყალამი შეაჩეჩა და წინ უბიძგა.

შუქურა ციხეს რომ მიუახლოვდნენ, თათრები შედგნენ და მარტო გაუშვეს ბიჭი.

გაუბედავად მიდიოდა ნორჩი მხატვარი და რაც უფრო ზევით ადიოდა აღმართზე, მით უფრო მაღალი ეჩვენებოდა ციხე. სულ ახლოს მივიდა, ადგილი შეარჩია, ჩაიმუხლა და ხბოს ტყავი გაშალა. ის იყო პირველი ხაზი გაავლო, რომ გოგონას წკრიალა ხმა მოესმა:

— ქართველი ხარ?

ბიჭმა თავი ასწია და ქონგურზე გადმომდგარ გოგოს შეხედა.

— რა გქვია?

— სანდრიკა. შენა?

— მე ენძელა მქვია, გვარად მებუკე ვარ. მანდ რას აკეთებ, სანდრიკა ხანო?

— ვინ გითხრა, რომ ხანი ვარ?

— სხვისი თქმა რად მინდა, ისედაც გხედავ. ურჯულო რომ არ იყო, თათრებთან არ იქნებოდი.

— შაჰი შემპირდა, რომ თუ ციხეს დავხატავ, შინ გამიშვებს, დედასთან. მე ხომ ტყვე ვარ...

— მერედა იცი, რისთვის გახატინებს ციხეს?

— საიდან უნდა ვიცოდე...

— შაჰი აზეულას სუსტ ადგილებს ეძებს, დაგახატინებს, დახედავს და მერე ზარბაზნებს დაუშენს...

ბიჭი გველცემულივით წამოვარდა, ყალამიც და ხბოს ტყავიც ძირს დასცვივდა. გაოგნებული იდგა და გოგონას შეჰყურებდა.

— აი, ახლა გხედავ, რომ ქართველი ხარ, მე კი მოღალატე მეგონე, — აკისკისდა გოგონა, — ეგენი ხომ გადაყარე, ახლა გამოიქეცი და ციხეში შემოდი.

— თათრები მითვალთვალებენ, გამოვიქცევი თუ არა, მესვრიან.

— გეშინია? რაკი აგრეა, აჰა, ეს ფარი წამოიკიდე ზურგზე და ისე წამოდი. ტყვია ვერ გაატანს, — გოგომ მოიშორა ფარი, აქამდე რომ მთელ ტანს უფარავდა, და ძირს გადმოუშვა.

ფარი ყლრიალით დაეცა კლდის შვერილზე და ბიჭისაკენ გაგორდა. თეთრკაბიანი ენძელა მაღლიდან დაჰყურებდა მგორავ ფარს და იცინოდა.

ბიჭი წინ შეეგება მძიმე ფარს, ზურგზე მოიგდო და ციხის კარიბჭისაკენ გაექანა. იმავ წუთს ჩასაფრებული თათრის თოფმაც იჭექა და კოშკის ბანზე მდგარმა გოგონამ მკერდზე იტაცა ხელი, ბალახივით ჩაიკეცა...

სანდრიკას მეციხოვნენი შემოეგებნენ, კარიბჭეში შეიყვანეს.

შიდა ციხის ეზოში ბავშვები და ქალები ირეოდნენ. სანდრიკამ ქვის კიბე აირბინა და განაპირა კოშკის ერდოზე გაჩნდა, იქ ეგულებოდა ენძელა.

გოგონა ნაბადზე ესვენა, თავს მკურნალი ადგა, ირგვლივ კი თოფის წამლის კვამლი იდგა. ქონგურს გადაყუდებული აბჯროსნები თოფებს ახლიდნენ გაქცეულ თათრებს.

ბიჭი მწოლარე გოგონას დაადგა თავზე.

„მე გადამარჩინა, თვითონ კი... ლაჩარი ვარ“, — გაიფიქრა და ცრემლი მოადგა თვალებზე.

— მოხვედი? — გოგონამ სუსტი ღიმილი შეაგება ბიჭს, — კარგია, შემოაღწიე. ახლა უკვე ნამდვილი ქართველი ხარ... მიხარია, — თქვა და თვალები დახუჭა.

— ენძელა! — აღმოხდა ნორჩ მხატვარს.

— არაფერია, — დაიჩურჩულა გოგონამ, — თუ მოვკვდი... რა მოხდა მერე... ერთს კი დაგიბარებდი... გაზაფხულზე კიდევ მოდი ამ მხარეში, ოღონდ ციხე კი არა, კრწანისის ენძელები დამიხატე... გამარჯვების ენძელები.

ბიჭს გული ამოუდუღდა და სულის მოსათქმელად ქონგურთან მიდგა... ანაზდად შეკრთა — კედლის დუღაბზე ალისფერი ყვავილივით ენთო გოგონას სისხლი.

დაბლა კრწანისის ველი მოჩანდა. იქ სამიათასზე ცოტა მეტი ქართველი მზად იყო შებმოდა თბილისისაკენ წაწეულ ორმოციათასიან ურდოს.

რუსთა ლაშქრის მომლოდინე მეფე ერეკლე თბილისის ციხეში იდგა და მტრის მოიერიშე რაზმების მოძრაობას ადევნებდა თვალს.

ყოველ წუთს შეიძლებოდა დაწყებულიყო გადამწყვეტი ბრძოლა თბილისისათვის.

სექტემბრის მეცხრე დღე ღამდებოდა. წვიმად ჩამოქცევას აპირებდა ცა. მტრის ლაშქარი კი აყოვნებდა — მრისხანე შაჰი წინ წამოსვლას ვერ ბედავდა, რადგან ზურგს უკან აუღებელი რჩებოდა შუქურა ციხე აზეულა.

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

გივი ჭიჭინაძე

ფისო და ობობა

შესცეცინებს სხვენში ჭერს
ჩვენი ჭრელა ფისო:
— რას აკეთებ, ობობავ?
ალბათ კაბას იქსოვ...
— არა, როგორ ვერ ხედავ?
ბადესა ვქსოვ, ჭრელავ.
— მერე ბადე რად გინდა?
— ბუზის დასაჭერად.
— ეს რა თქვაო! — ფისუნა
გაიბერა უცებ,
მე ბადე არ მჭირდება,
თათით ვიჭერ ბუზებს!
გაუბრაზდა ობობა:
— იქით დამეკარგე!
მაღლა ბუზებს კი არა,
მირს ვერ იჭერ თაგვებს!

ხათუნა ზღვაზე

მუხლებამდეც ვერ შედის
ზღვის სიღრმეში ხათუნა.
ხელ-ფეხს იქნევს: — ტყაპ და ტყუპ! —
კი არ ცურავს, დახტუნავს.
ირგვლივ ყველა გაწუწა:
— კარგი, გოგო, რას შვრები!
— რას ვშვრები და, ვერ ხედავ,
ტალღებს ვეთამაშები...
პალმის ძირში რომ მოჩანს
სილიანი ფერდობი,
იქ დათვი და თოჯინა
უჩივიან დედობილს:
— ჩეროში რომ დაგვყარა,
თავს როდი ვგრძნობთ უკეთო!
ჭუპა-ჭუპა ჩვენც გვინდა,
სიცხით დავიხრჩუკეთო!

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ყანაში

კომბაინი მზით გაფიცხებულ პურის ყანას მკიდა, გარშემო უვლიდა. ტარაბუა გამალებით ბრუნავდა.

მინდვრის გულში ორიოდე ნაბდის გაშლა ყანალა დარჩენილიყო გასალეწი.

— უყურე ახლა რა მოხდება, — მითხრა პაპამ.

— რა მოხდება?

— უყურე დარჩენილ ყანას...

მე თვალი არ მომიცილებია. სადაცაა ტარაბუა დარჩენილ თავთავებსაც გადაიტანდა გაუმაძღარ ხახაში.

უცებ ტარაბუის ქვემოდან ჯერ დაფეთებული კურდღელი გამოვარდა და ნაწვერალში ფაცხაფუცხით გაიქცა, მერე წყვილი მელაკუდა გამოხტა; ყანიდან ფრთხიალ-ფრთხიალით ამოდიოდნენ მწყერები, ზოგი სპით მიქროდა, ზოგი საით.

— თავს უშველეთ, თავს უშველეთ, ეჰე, ჰეე! — იცინოდა პაპა და ხელებს იქნევდა.

ყველამ თავთავის გზა რომ მოძებნა, პაპამ მითხრა:

— რა დალოცვილია პური, ჩვენ ხომ გვზრდის და გვასაზრდოებს, და ნახე კიდევ რამდენ სულდგმულს უპოვნია ბინა და სარჩო ყანაში.

ჯემალ ჭირია

გუტია სპილო

ძველად სპილოს ხორთუმი არ ჰქონდა. სადაც ახლა ხორთუმი აბია, იქ ერთი ციცქნა ლამაზი ცხვირი ძლივს აჩნდა. სპილოს ძალიან მოსწონდა იგი და მუდამ ცხვირაპრეხილი დადიოდა. თანაც ზედ სათვალეს წამოიდგამდა ხოლმე — გულუბრყვილოდ სჯეროდა, ასე უფრო ჭკვიანი ვჩანვარო.

ერთხელ რაკრაკა წყაროს წააწყდა—ბალახში მოჟღურტულობდა და იქვე, შორიახლო გუბდებოდა. სპილომ გუბეში ჩაიხედა, სათვალე ჩამოუვარდა და წყალში ტყაპანი მოადინა. სარკესავით ზედაპირზე პაწია ტალღები წრეებად გაიშალა. სპილო გაჯავრდა, გუბემ ჩემი სათვალე ჩაყლაპა და დამცინის კიდეცო. სულელს წყლის პაწია წრეები გუბის სიცილი ეგონა.

— ბუტე, ბუტე, გაგებუტე! — უთხრა გუბეს და დუდღუნით გაშორდა.

ბილიკზე ჯადოქარი სარსალა შეხვდა. უზარმაზარი მახრჩობელა გველი იყო ჯადოქარი სარსალა. მზის გულზე უყვარდა ბებერი ძვლების გათბობა და ახლაც შუა ბილიკზე გაშხლართულიყო. სპილო რომ დაინახა, ფეხებით არ შემდგესო, და იქვე, გზისპირას მდგარ ხეზე აუჩქარებლად შეხოხდა.

— როგორი ზანტი ხარ! რამდენხანს შემაყოვნე! — გაგულისდა სპილო, — ჰი, ნახავ, შენც გაგებუტები!

— არ მიყვარს ბუტიები! — დინჯად დაისისინა ჯადოქარმა სარსალამ, — იცოდე, რამდენჯერაც ცხვირს ჩამოუშვებ, იმდენჯერ თითო მტკაველით დაგიგრძელდება!

ბუტია სპილომ ამაზე ყურიც არ გააპარტყუნა და გზა განაგრძო.

მიდის თავისთვის, მიბუზღუნებს, ჯავრობს, არავისთან თამაში არ უნდა.

— ჰეი, სპილოვ, ფორთოხალი არ გინდა? — მწიფე ნაყოფი გადმოუგდო ხეზე კუდით ჩამოკონწიალებულმა მაიმუნმა.

სპილო სიამოვნებით შესანსლავდა ფორთოხალს, მაგრამ გაბუტული იყო და ამიტომ ბუზღუნს უმატა: „უჭკუო მაიმუნი, მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე ტოტებზე ყირასა სჭიმავს, თავისი ტოლი ვგონივარ!“

იარა, იარა და ჟირაფს გადაეყარა. ჟირაფს გრძელი კისერი აეღერა, ნორჩ ფოთლებს მისწვდენოდა და გემრიელად ახრამუნებდა. რა თქმა უნდა, იმ ყლორტებზე არც სპილო იტყოდა უარს, მაგრამ ასე მაღლა ვერ მისწვდებოდა, და ამან უფრო გააჯავრა.

„იმისგრძე კისერზე ჩერჩეტი თავი აბია, ფოთოლს გაზრდას არ აცლის“.

ცოტა კიდევ გაიარა და უცებ გზაზე წრუწუნა გამოუცუნცულდა (ალბათ იცით, უზარმაზარ სპილოებს წრუწუნისა ეშინიათ). გულგახეთქილმა ბუტიამ ტყისაკენ გაუხვია და ჩირგვებში ირბინა ძუნძულით.

ამან მთლად გაუფუჭა გუნება. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო სკდებოდა გულზე. წრუწუნას კი არა და ჩირგვებსაც გაებუტა, ფეხებში მედებიანო; დაბლა ჩამოწეულ ტოტსაც — თავში განგებ ჩამარტყაო; მსუყე ბალახსაც — მაშინ შემხვდა, როცა სირბილისაგან აქოშინებულს ჭამა არ შემიძლიაო...

ტყის პირას ნადირთა მეფე ისვენებდა. თუმცა ნასადილევი იყო, ცხოველები მაინც იმ ადგილს რიდით შორს უვლიდნენ. სპილოებს წრუწუნასი კი, მაგრამ ლომის იოტისოდენადაც არ ეშინიათ. წამოადგა თავზე ბუტია სპილო ნადირთა მეფეს და ძილი დაუფრთხო.

— ღრრ, ვინა ხარ? — გაუჯავრდა ლომი.

— სპილო ვარ, ვერა მცნობ? — გაუკვირდა ბუტიას.

ასეთი გრძელცხვირა სპილო არასოდეს მინახავს! — თქვა ლომმა.

სპილოს ენა ჩაუვარდა. სიბრაზისაგან გაბუტვაც ვერ მოახერხა. ახლაღა შეამჩნია საოცარი ცვლილება — ციცქნა ცხვირის ადგილას ისეთი რაღაც წამოზრდოდა, რაც ცხვირს კი არა, ჯადოქარი სარსალას კუდს უფრო ჰგავდა.

თავზარდაცემული ბუტია წყაროსაკენ გამოიქცა. გზაზე არც ჟირაფი შეუმჩნევია, არც ხეზე კუდით ჩამოკონწიალებული მაიმუნი, გაოცებით რომ მოსძახოდნენ, ეგ რა დაგმართინაო; არც წრუწუნასი შეშინებია და ალბათ ჯადოქარ სარსალასაც გაიტანდა, თვითონ იმას დროზე რომ არ ეშველა თავისათვის.

მოირბინა წყაროსთან, ჩაიხედა გუბეში და დაინახა, რომ ცხვირის ადგილას ხორთუმი ჩამოზრდოდა.

საბრალო სპილო ისე შეშინდა, წყაროსაც კი ჩაეცინა: „ბუტია ბავშვებს ცხვირი სწრაფად უგრძელდებათო“.

ამის შემდეგ სპილო უმიზეზოდ არავის ებუტება, მაგრამ ხორთუმი მაინც შერჩა...

ვლადიმერ ზარიძე

მზე პირს იბანს

მზე რომ სიცხემ შეაწუხა,
არც აცია, არც აცხელა,—
ვეებერთელა ღრუბლის ქულა
მოიხურა თავზე ხელად.
სად იყო და სად არ იყო,
მოლივლივე ლურჯი ციდან
შხაპუნა და თვალეუეუნა
ცელქი წვიმა წამოვიდა.
ჩიტუნების ლაღი გუნდი
ძირს დაეშვა მაღალ მთიდან,
ეღურტულებენ, ხმატკბილობენ:
— მზე პირს იბანს! მზე პირს იბანს!
როცა მორჩა პირის ბანას
და სალამი უძღვნა ყველას,
მზემ სხივებით ცისფერ ცაზე
ამოქარგა ცისარტყელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემანუილ ბარათაია

ოცვნება კაჭკაჭი

მარტოდმარტო დაფრინავს,
ხან იქით და ხან აქეთ.
არც ჭირში და არც ლხინში
არვის იფხანაგებს...
ჰოდა, ერთხელ მეტაპარა,
პირი სტაცა მეღრიამ.
გაიპრძოლა, მაგრამ რა!—
ლონე შემოელია.
არც არაფინ მიეშველა—
ალარც ჩიტი, არც კაცი,
და მელიის ლუკმა გახდა
ის თავნება კაჭკაჭი.

შუანგ სანლთაუციშვილი

წყალი

გაწვიმდა და ანა, ჩქარა!
წყალს აროვებს დიდ-პატარა.
ზოგი ფეხსვით, ზოგი ბეშვით,
ზოგი სათლში, ზოგი ბეშვით,
ყვერლას უნდა წყალი, ყველას:
დათეს და ირგმს,
შეველს და მელას;
ბუზს, ბეკელას,
ფუტკარს, კელას,
დილხამსა თუ სასუტელას...
აგროვებენ, როცა წვიმს და
იზოგავენ, როცა ცხელა.

ჯანიკო გაბუნია

მეგალეები

— ბაბუ, მითხარ ეს ნერგი
რას მოისხამს, რას?
— რას და ლოყაწითელ ვაშლს,
— ეს მეორე?
— მსხალს.
ბაბუა რგავს ნერგებს და
თენგო უსხამს წყალს.

ალექსანდრე დიდებაშვილი

ჩემი ხბო

ხბო მოიგო ფურდღრომ,
წაბლა ხტუნავს ცალფლობს,
აფხულებს წაფრაბებს
მარილაც სასაღლოდ.
ეფურება ქეთინო.
— რა ხატული ხბო ხარ,
გაგვეზარდე კეთილო,
ლალიანი ძროხა.

იოსეფ დუგლიშვილი

ჭინჭიკველა დედოფალა

იცით, ბებომ გუშინ ნანას
საჩუქრად რა მოუტანა?
ჭინქიკველა დედოფალა!
ვის უნახავს იმისთანა!
ნაჭრისა აქვს თავი, ტანი,
აკვირდება ნანა კარგად,
თვალ-წარბი და წამწამები
შავი ძაფით მოუქარგავთ,
კითხულობენ პატარები:
— ჩვენს თოჯინებს რატომ არ ჰგავს?
— ეს თოჯინა თურმე ბებოს
დარჩა თავის ბებოსაგან.

რეზო ვეკუა

ბეკეკას ჩიტელი

მზე არის და... ჭრის...
მზე პირს იბანს... წვიმს,
ძალლი ისე დაწვა,
ვერ გაუვლი წინ.
ძალლის იქით ძნა—
შეკონილა თივა,
მაგრამ ყურშეს შიშით
ანა, როგორ მივალ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ გოგებაშვილი

ურგო ამხანაგი

— კოტე, მელანი მასესხეო.
— შენთვის როდი მიყიდიაო?
— კოტე, აჰა ვაშლიო.
— მოიტა, ჩქარა მომეო!

უსუნო ყვავილი

მინდორში გაშლილიყო მშვენიერი უსუნო ყვავილი. ყმაწვილს ძალიან მოეწონა, მოკლიჯა და თავის ვარდის კონაში ჩაარჭო. პატარა ხანს უკან ისევ ამოაძრო კონიდან, უსუნა და იგრძნო, რომ იმ უბრალო ყვავილს ვარდის საამური სუნი მისცემოდა.

ყმაწვილი დაფიქრდა და თქვა:—ჰო, ახლა კი კარგად მივხვდი, რად მირჩევს დედაჩემი კარგ ამხანაგებში ყოფნასო.

ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს

ორი ბიჭი ყანიდან მოდიოდა სოფლისაკენ. გზაზე დამპალი თოკი იპოვეს. ერთიც თავისთვის ჩემობდა, მეორეც. მოუვიდათ ჩხუბი, წაავლეს ხელები თოკსა და ერთი აქეთ იწევდა, მეორე—იქით. უცებ თოკი გაწყდა და ორივენი აქეთ-იქით გადაიქცნენ.

იმათ საუბედუროდ, გზის მარჯვნივაც წუმპე იდგა, გზის მარცხნივაც. ორივე მოჩხუბართ თავი წუმპეში ჩაუვარდათ და შეიქმნენ თავლაფიანები.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონარდო და ვინჩი

წეროები

იყო და არა იყო, რა, იყო ერთი კეთილი ხელმწიფე, მაგრამ მტერი მაინც აურაცხელი ჰყავდა. ხელმწიფის მორჩილ, ერთგულ წეროებს ძლიერ ადარდებდათ მისი ბედი. ხელმწიფეს ყოველ დღე ელოდა საფრთხე, განსაკუთრებით ღამით, როცა ბოროტ მტერს სრულიად დაუბრკოლებლად შეეძლო ალყა შემოერტყა სასახლისათვის.

— რა ვიღონოთ? — დაფიქრდნენ მოსათათბირებლად შეკრებილი წეროები — ჯარისკაცებისაგან არავითარი ხეირი არ არის. იმის ნაცვლად, რომ ერთგულად ემსახურონ და დაიცვან ხელმწიფე, მთელი ღამეები გამოუფხიზლებლად სძინავთ. ძაღლებს კი, მთელი დღის განმავლობაში ნადირობაზე ნარბენებს და სიქაგამძვრალეს, ვერ ენდობი. ჩვენმა ხელმწიფემ რომ მშვიდად იძინოს, ისღა დაგვრჩენია, ჩვენ თავად ვუდარაჯოთ სასახლეს.

და აი წეროები გუშაგები გახდნენ. ისინი სამ ჯგუფად გაიყვნენ, თითოეულ ჯგუფს საგუშაგო ჩააბარეს და გუშაგთა ცვლა დაანწესეს. წეროების ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი სასახლის გარშემო გაშლილ მდელოზე განლაგდა, მეორე სასახლის ყველა შესასვლელსა და გასასვლელში ჩადგა, დანარჩენი გუშაგები კი სამეფო საწოლ დარბაზში განლაგდნენ, რათა ერთი წუთითაც არ მოეშორებინათ თვალი მძინარე მბრძანებლისათვის.

— ვინმეს რომ საგუშაგოზე ძილი მოერიოს, მაშინ რა ვქნათ? — იკითხა ერთმა ახალგაზრდა წერომ.

— საამისოდაც არსებობს ერთი კარგი საშუალება, — დაამშვიდა იგი ცხოვრებით დაბრძენებულმა წინამძღოლმა — საგუშაგოზე მდგომი ყველა ჩვენგანი ცალი ფეხით მძიმე ქვას დაიჭერს, თუ რომელიმე ჩვენგანს ჩაეძინა, ქვა მაშინვე გამოუვარდება ფეხიდან და ხმაურით ყველა დანარჩენს გამოაფხიზლებს.

მას შემდეგ წეროები რიგ-რიგობით ფხიზლობენ ღამლამობით. დგანან ცალ ფეხზე და ყოველ ორ საათში იცვლებიან. მოლაპაკების თანახმად არც ერთ მათგანს ჯერაც არ დავარდნია ქვა.

სიკეთისა და ერთგულებისათვის ტყუილად როდი უნოდებენ მათ გვირგვინოსან, სამეფო წეროებს.

თარგმნა ქეთევან დუმბაძემ

ავთანდილ გურგენიძე

აქა ამგავი ბეჰეს გაგრილებისა, ანუ „არაპითარი ჭადოსნობა...“

ეს რა ზაფხულს მოვესწარით,—
ისე ცხელა,
ისე ცხელა,
რომ სოროდან ცხვირსაც ვერ ჰყოფს
ვეღარც თაგვი,
ვეღარც მელა.
უპირს შველსაც,
უპირს მგელსაც,
თუმცა ვის არ უპირს,—
დათუნიამ აღარ იცის
სად წაიღოს დრუნჩი.
წუხს ჟირაფი გრძელკისერა:
— ერთი ყლუპი მიშველის,
ამ სიცხეში სად წავიღო
ამოდენა კისერი.
ბეჰე-ბიჭიც ვერ ისვენებს,—
უსაშველო სიცხეაო,
კაცი ოფლად გავიღვარე,
მეტი არ შემიძლიაო.
უცებ...
ეს რა დაინახა:
ყიყინების დიდი გუბე...
გაიფიქრა,—
ახლა თუ არ ვიბანავე,
დავიღუპე.
შეეხვეწა ყიყინებს:
— არ იქნება ცუდიო,
თქვენს გუბეში მაბანავოთ
ორიოდე წუთიო.
უპასუხეს ყიყინებმაც
— თავი მოგვაქვს ქონებითო...
ორიოდე წუთი რაა,
დიდი სიამოვნებითო.
ჰოდა, ბეჰეც გაიშოტა,
გადაბრუნდა, გადმობრუნდა,
იფრუტუნა,
იღრუტუნა,
გაგრილდა და
რაღა უნდა!..
აყიყინდნენ ბაყაყები:
ყუა-ყუა... ყუა-ყუა!
ეს რა გვიქნა ბეჰე ბიჭმა,
რანაირად მოგვატყუა.
გუბეში რომ ჩამობრძანდა
ფრუტუნით და რიხითაო,—
იმდენი რა დაგვიტოვა,
სიცხეში რომ ვიყვინთაოთ.
ჩაიხედა ბეჰე-ბიჭმა,
დაინახა სველი მიწა...
რომ ჩავიდა—
გუბე იყო,
ამოვიდა—
ორმოდ იქცა!

მხატვარი ლადო ტატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ლეშკაშელი

უჩინარი მუშაკი

ცხოვრებაში თითქმის მუდამ თან გვახლავს ერთი მუშაკი. იგი ჯერ არავის უნახავს, ყველა კი იცნობს. თუ რამეს ხელი მოკიდა, ის თვალის დახამხამებაში მზადაა.

დილით რომ უბრძანო, აბა, ჩაი ამიდუღეო, ხუთ წუთში ჩაიდანი აჩუხჩუხდება.

უბრძანებ — ფაფა მომიხარშეო — ქვაბში ფაფა ათუხთუხდება.

თეთრეულის გაუთოება გინდა? ამასაც კარგად გააკეთებს.

საღამოთი, როცა ჩამობნელდება, ნათურას აანთებს.

სტუმარი კარს მოადგება, ის უკვე გაჰკივის — მოდი, კარი გამიღეო.

მერე როგორი დამჯერეა! ერთი თითი რომ გაანძრიო, უმალ ხვდება, რაც გინდა.

იგი ყველაფერში მარჯვეა! ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში გადაგიყვანს, ქარხანაში რკინას ჭრის, ფქვავს, ფეხსაცმლის ფაბრიკაში ოსტატს ფეხსაცმლის კერვაში ეხმარება.

ვინ არის ეს მარდი, დამჯერე და დაუღალავი მუშაკი? რა ჰქვია მას და საიდან მოდის?

მას ელექტროდენს უწოდებენ. საიდან მოდის? საიდან ჩნდება? გიამბობთ.

კარგად რომ დააკვირდე საოჯახო ნივთებს: უთოს, ელექტროჩაიდანს, ელექტროქურას, სამაგიდო ნათურას, შეამჩნევ, რომ ყველა ეს ნივთი სხვადასხვანაირია, მაგრამ რაღაცით ჰგავს ერთმანეთს.

ყველას ერთნაირი კუდი — ელექტრომავთული აქვს გამობმული, რომლითაც ხელსაწყოში ელდენი მიედინება.

ის ზონარი, ყოველ უთოზე და ტელევიზორზე რომ არის გამობმული, დიდი გზის მხოლოდ პატარა შესახვევია. როცა ჩანგალს შტეფსელს ვუერთებთ, ეს პატარა შესახვევი დიდ მთავარ ქუჩას უერთდება. დიდი ქუჩა კი ის მავთულია, რომელიც კედელს გარედან ჭერამდე მიჰყვება და იქიდან წინკარში შემოდის. იქ მას საცობები და მრიცხველი ხვდება. მრიცხველს მას იმიტომ უწოდებენ, რომ დღე-ღამე შეუსვენებლად თვლის, რამდენმა დენმა გაიარა მავთულში, თუ მავთულს სადმე ხიფათი შეემთხვა, გავარვარდა და ცეცხლი გააჩინა, მასში საცობები ამოქმედდებიან, შესძახებენ, „შესდექ, აღარ გაგიშვებო!“ და დენს გამოთიშავენ.

ელდენი ქუჩის ბოძებამდე კაბელებით მოდის, კაბელებამდე კი — ელექტრონძაზე ჩამობმული



გრძელი მავთულებით.

ამ მავთულებში და კაბელებში საიდანღა ხვდება?

საიდან და ჰიდროსადგურებიდან, თბოსადგურებიდან.

ჰიდროელსადგურებს წყალი ამუშავებს, თბოსადგურებს — საწვავი.

ელექტროსადგურებში წყალი დიდი სიმაღლიდან მოექანება მილებში გამომწყვდეული, და წისქვილის თვლის მსგავს ბორბალს ატრიალებს, ეს თვალი ტურბინას ატრიალებს, ტურბინა კი ელექტროდენს წარმოქმნის.

ჩვენში დიდი ელექტროსადგურებია: ენგურჰესი, ლაჯანურჰესი, გუმათჰესი, რიონჰესი, ზაჰესი, ხრამჰესი.

ახლა ენგურზე დაიწყო მეორე დიდი ელსადგურის — ხუდინჰესის მშენებლობა.

ელსადგურის აშენება დიდ შრომას მოითხოვს და მეტად ძვირი ჯდება.

ამიერიდან როცა ტელევიზორს ან ნათურას ჩართავ, გახსოვდეს, დენმა შენს ოთახამდე რომ მოაღწიოს, ბევრმა ადამიანმა უნდა იშრომოს და სახელმწიფომ დიდი თანხა უნდა დახარჯოს.

ამიტომ ტყუილუბრალოდ ნუ გარჯი ამ უჩინარ მუშაკს. — ელექტროდენს დაზოგვა უნდა.



გაქოსათოვკი

ჟურნალ „დილას“ მწუხარე დღე დაუდგა — აღარ არის მისი კეთილი ნათლია და ერთგული მეგობარი რევაზ მარგიანი.

იგი სვანეთის ზვიადი მთების და კოშკების შვილი იყო და, როგორც ყველა სვანს, უყვარდა თავისი მთები და კოშკები, უყვარდა ამომავალი მზე, უღრუბლო ცა და კაშკაშა დილა...

მშვიდ დილაზე ოცნებობდა ის დიდი სამამულო ომის დროსაც, და გამარჯვების სიხარულს თავისი პოეტური სიხარული შეაგება: „მშვიდი დილა მოფრენილა!!!“

...სულ მალე მას შემდეგ, რაც ომგადახდილი ახალგაზრდა პოეტი შინ დაბრუნდა, იგი საბავშვო ჟურნალ „ოქტომბრელის“ რედაქტორად დანიშნეს. პატარებისათვის შრომა უხაროდა, ცდილობდა უფრო საყვარელი საკითხავი, უფრო მიმზიდველი და სახალისო გაეხადა ჟურნალი. 1947 წელს მისი თაოსნობით „ოქტომბრელს“ სახელი შეეცვალა და „დილა“ დაერქვა. დილას ხომ ახალი დღე მოსდევს, და ყოველ ახალ დღეს კი იმედის თვალით შესცქერის ადამიანი, ისევე, როგორც თითოეულ ბავშვს — მომავლის იმედს.

მას მერე ბევრგან იმოღვაწა რევაზ მარგიანმა, ბევრ საქვეყნო საქმეს დაარინა თავისი კვალი, მაგრამ „დილის“ სიყვარული ისევე არ განელებია, როგორც სვანეთის მთების და კოშკების, მზის და დილის სიყვარული.

მზე, დილა, სინათლე — სვანების საერთო სიყვარულია.

„ლილეო“ — სიმღერით ადიდებენ ისინი ამომავალ მზეს.

„რიჭა“ — სიმღერით შეჰხარიან სინათლეს.

„კვირია“ — უგალობენ დილას — ახალი დღის, ახალი სიცოცხლის წინამორბედს.

...სვანეთში წესად ჰქონდათ: როცა ოჯახში ასწელს გადაბიჯებული მოხუცი მოკვდებოდა და მთელ თავის შთამომავლობას ჯანმრთელსა და ცოცხალს დატოვებდა, მას სამგლოვიარო სიმღერით — „ზარით“ კი არ დაიტირებდნენ, „კვირიას“ უგალობდნენ, რადგან სჯეროდათ — მისი სიცოცხლე დამთავრებული კი არ იყო, არამედ სხვათა არსებობაში გადასული, გამრავლებული, გაგრძელებული...

რევაზ მარგიანს ასი წელი არ უცოცხლია, მაგრამ მისი სიცოცხლე გრძელდება მის მშვენიერ ლექსებში, მისგან ნაამაგევ ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში, მისი საყვარელი ჟურნალის „დილის“ სახელწოდებაში და „დილის“ პატარა მკითხველების გულში, მისი სამშობლოს მშვიდ დილაში. და ვიდრე საქართველოს მთებში მზის და დილის საგალობელს — „ლილეოს“ გუგუნებს ქარი“, რევაზ მარგიანის ხსოვნას „კვირია“ ეკუთვნის და არა „ზარი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მარგიანი

დედა

ჩემს სიცოცხლეს მირჩევნია,
როცა მეირფას დედას ვხედავ,
მუდამ ჩვენთვის ზრუნავს, მუდამ,
საყვარელი ჩემი დედა.
ის დღედაღამ ჩემზე ფიქრობს—
თავს მევლება, მიალერსებს,
ანი-ბანი მან მასწავლა,
და მიკითხავს ახალ ლექსებს.
სულ მარიგებს, სწავლას
მირჩევს—

მე კი დედას ვეფერები,
მის დიდ ამაგს დავუფასებ,
როცა დიდი გავიზრდები.
ჩემს სიცოცხლეს მირჩევნია,
როცა მეირფას დედას ვხედავ,
მუდამ ჩემთვის ზრუნავს, მუდამ,
საყვარელი ჩემი დედა.

5

შინ შემოირბინა გოგიამ,
შინ შემოირბინა თამარმა,
ეს მართლა ხუმრობა როდია,
შემოჰყვათ ხუთების ამალა!
„ხუთებით“,
„ხუთებით“,
„ხუთებით“,
სავსეა ლამაზი ფურცელი,
უფროსი მათ დათვლას ვუნდები,
ვხარობ და პატარებს ვუცქერი.
ვერ ვხედავ ქუზიან „ორიანს“,
ამაოდ დავეძებ „სამიანს“,
„ოთხიანს“ იშოვნი გგონია?
ზოგისთვის რომ დიდი რამეა!
„ხუთები“, სულ მარტო „ხუთები“
დამსხდარან ისე ჭით მერცხლები,
უფროსი მათ დათვლას ვუნდები,
ბავშვების სიხარულს ვესწრები.
ვულოცავ თამარს და გოგიას,
რომ გახდნენ მეორეკლასელნი.
ეს მართლა ხუმრობა როდია—
ატარო „ხუთოსნის“ სახელი!

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.

მხატვარი ლალი ლომთაძე

დუდე გედენიძე

მაკა და ბროლია

ერთ მარტოხელა, ავ და მიუკარებელ დედაბერს ჭკვიანი და ერთგული ძაღლი ბროლია ჰყავდა.

ბროლია ნახევრად მშიერი აღამებდა და ათენებდა, რადგან დედაბერი მისთვის დღეში ერთხელ ცივი მჭადის პატარა ნატეხს თუ გამოიმეტებდა და იმასაც დაამადლიდა ხოლმე.

— ჩათქვლიფე, შე მუცელგასახეთქო, მუქთამჭამელო და ზარმაცო, რა მოგიტანია, რომ მუცელი ამოიყოროო.

ბროლია წინა თათებში თავს წაჰყოფდა, პატრონს სევდიანი თვალებით შეხედავდა, აწკმუტუნდებოდა და კუდს გაუქიცინებდა, თითქოს იცოდა, რომ ლუკმას ამადლიდნენ.

ასე ულიმღამოდ გრძელდებოდა ძაღლი ცხოვრება. გახმა და გაძვალტყავდა, მაგრამ პატრონს მაინც ერთგულად ემსახურებოდა, სანამ შვილები — ექვსი ლეკვი არ გაუჩნდა.

დედაბერი კინაღამ გადაირია — ამ ძაღლმამაძაღლს ძლივს ვარჩენდი და ახლა კიდევ ეს ლეკვები მომმატნენო.

პატრონის ერთგულება კარგია, მაგრამ შვილების მოვლა ყველა დედის უპირველესი მოვალეობააო, დაასკვნა კარგა ხნის ფიქრის მერე გულდაწყვეტილმა ბროლიამ, გაეცალა დედაბერს და თავის პატარებიანად შორიახლოს ერთ მიტოვებულ გომურში გადასახლდა.

ამ ქვეყანაზე მადლიან ხალხს რა გამოლევსო, იმედს არ კარგავდა ბროლია, და მართლაც სულ მალე მფარველად მეზობლის პატარა გოგონა მაკა მოევლინა, რომელიც ეზოში თამაშისას მოულოდნელად თავს წაადგა ბროლიას და მის პაწაწკინტელა ლეკვებს.

მშიერი ლეკვები დედის გამომჭკნარ ძუძუებს ხარბად ჩაფრენოდნენ, ეძიძგილავებოდნენ, წკმუტუნებდნენ. მაგრამ ამაოდ, თავადაც მშიერ ბროლიას ძუძუებში რძე საიდან უნდა ჰქონოდა.

მაკას მამა არ ჰყავდა. იფიქრა, ამ ლეკვებს ჩემსავით მამა არა ჰყოლიათო და ძალიან შეეცოდა ისინი. უმალვე შინისაკენ მოკურცხლა, შეწუხებულმა დედოფალაც კი მიაგდო, დედოფალა, რომელიც აქამდე მარტო არასოდეს მიუტოვებია.

დედა სამსახურში იყო, მაგრამ მაკას ახლა ბებიას იმედი ჰქონდა.

— ჩემო საყვარელო ბებო, — უთხრა მაკამ ბებიას, — აგერ გომურში სულ მთლად პაწაწინა ლეკვები ვნახე, ისე წკავწკავებენ, რომ ეტყობა ძალიან შიათ.

— ო, თუ შიათ, უნდა ვაჭამოთ. — თქვა გულკეთილმა ბებიამ, მერე უეცრად დაფაცურდა, კარადაში პურის ნატეხები მონახა, მაკას პატარა კალათში ჩაუწყო და ლეკვებთან გაისტუმრა.

როდესაც მაკა გომურში შევიდა, ბროლიამ იფიქრა, ალბათ ამ კალათით ჩემი ლეკვები უნდა წაიყვანოსო, და შეუღრინა გოგონას.

— შე სულელო, ვერა ხედავ, საჭმელი მოგიტანე, — უთხრა მაკამ ბროლიას და კალათიდან პურის ნატეხები ამოიღო.

ამის შემდეგ მაკა ბროლიას პატრონობს და პატარა ლეკვებს ყოველდღე ეთამაშება.

მაკა და ბროლია ისე დამეგობრდნენ, რომ უერთმანეთოდ სიცოცხლეც ვერ წარმოუდგენიათ.

მხატვარი ლადო ტატიშვილი



რა გზით უნდა გაიაროს ფოლადის ბურთულამ ლაბირინთში, რომ მაგნიტებს არ შეეჯახოს?

ხალხური გათვლა

იწილო ბიწილო

იწილო, ბიწილო,
შროშანო, გვრიტინო,
ალხო, მალხო,
ჩიტმა გნახოს.
შენი ფესვი,
ფესვმადური,
სიკოწილი,
კალმახური,
აბდა-უბდა,
გადასკუპდა,
მეფე ჩაჯდა,
კურკა ახტა,
წალესა, წაპულესა,
გადგა ესა!

დილა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1927 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიჟარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, კუკური გოგიაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თენგიზ ჩალაური (პმ. მდივანი), გივი ჭიჭინაძე, მანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 4. 05. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 07. 84 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{16}$. ფიზ ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 168000, შეკვეთა № 1022.

ყდაზე ნახატი ნანა ჭურღულიასი.

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж 163000. Заказ № 847.

ფასი 20 კაპ. ინდექსი 76055

ჩხირკედელა

იცით, ვინ არის ჩხირკედელა? ერთი პატარა რკოს კაცუნა, რომელიც ბებერი მუხის ძირას ტყეში ცხოვრობს. მუცელი და თავი რკოსი აქვს, თავზე რკოს ჯამურა ახურავს, ფეხები და ხელები ხმელი წკირებისა აბია, ხოლო ქალამნებად შუაზე გაჭრილი რკო აცვია.

იგი დღენიადაგ რაღაცას ჩაჰკირკიტებს, ხან რას გამოიგონებს, ხან რას. ამიტომ ტყის მცხოვრებლებმა მას ჩხირკედელა შეარქვეს. რკოს კაცუნამ მუხის ფუღუროში სახელოსნოც მოაწყო, ბლომად მოიმარაგა ფერადი ქაღალდები, მუყაო, წებო, სადგისი, სალებავები, ჯაგრისი და პატარა დანა. უშველებელი მაკრატელი კი სულ ქამარში აქვს გაჩრილი და ამაყად დააბიჯებს.

ერთხელ რკოს კაცუნას შინ ჯდომა მოსწყინდა, ტყეში გასეირნება მოინდომა, მაგრამ ფეხით ხომ არ ივლიდა? ადგა, მუხის ძირში რკო შეაგროვა და ერთი მოხდენილი ვირუკა ააწყო, აი, ასეთი.

ვირუკას მუცელი და თავი რკოსი გაუკეთა, კისერი და ფეხები ხმელი წკირებისაგან გამოუთალა, წებოსა და სადგისის დახმარებით დაუმაგრა. ორად მოკეცილი ქაღალდისგან ყურები გამოჭრა და თავზე მიაწება.

კუდისთვის დაგრეხილი ძაფი გამოიყენა, რომელსაც ბოლოში ფუნჯა დაუტოვა, და კუდიც მიაბა.

ვირუკა ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდა, ტყეში განავა[illegible] ჩქარობდა. ჩხირკედელამაც დ[illegible]დხანს აღარ დააყოვნა, შემოახტა თავის ვირუკას და პერი, გაჰქუსლა.